# თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
## აკადემიური საბჭო

თბილისი

5 თებერვალი, 2010

### სხდომა №2
### სხდომის ოქმი №2/2010

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. ასოცირებული პროფესორი ოლღა ქავთარია,
5. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე,
6. პროფესორი მაკა სალხინაშვილი,
7. პროფესორი მურმან ცარციძე,
8. პროფესორი ნინო ორმოცაძე,

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების შესახებ (მომხს. კ. ყურაშვილი)

მოისმინეს: პროფ. კახი ყურაშვილმა ისაუბრა თჰუ რექტორის არჩევნების შესახებ. მომხსენებელმა აუდიტორიას შეახსენა რომ თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი პროფ. ვალენტინა საყვარელიძე თჰუ დებულების თანახმად რექტორის თანანმდებობაზე არჩეული იყო 4 წლის ვადით, რომელიც იწურება 2010 წლის 10 თებერვალს. დებულების თანახმად ვადის ამოწურვის შემდეგ საჭიროა თჰუ აკადემიურმა საბჭომ აირჩიოს ახალი რექტორი დაკისრებულ უფლება–მოველეობათა შესასრულებლად. კ. ყურაშვილმა საბჭოს წარუდგინა ვ. საყვარელიძის 4 წლის მანძილძე შესრულებული სამუშაოს შედეგები, ისაუბრა გასული წლების მანძილზე რექტორის ძალისხმევით მიღწეულ

წარმატებებსა და მიღწევებზე და გაწეული სამუშაოსთვის უნივერსიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა . მომხსენებელმა აუდიტორიას მიმართა თხოვნით რომ დასახელებულ იქნას სასურველი კანდიდატურა, რომელსაც ღია წესით კენჭი ეყრება თჰუ რექტორის თანანმდებობის დასაკავებლად მომდევნო 4 წლის მანძილზე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ო. ეჯიბაძემ სადისერტაციო საბჭოს თჰუ რექტორის თანანმდებობის დასაკავებლად შესთავაზა კენჭი ეყარათ კვლავ პროფ. ვალენტინა საყვარელიძის კანდიდატურისათვის, რასაც საბჭო ერთსულოვნად დაეთანხმა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 8 წევრმა.

კენჭისყრის შედეგად აკადემიურმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

1. თჰუ რექტორის თანანმდებობაზე მომდევნო 4 წლის ვადით 2014 წლის 10 თებერვლამდე განწესდეს პროფ. ვ. საყვარელიძემ.
2. ვ. საყვარელიძეს გაუფორმდეს შრომის კონტრაქტი;
3. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს „თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის“ პარტნიორთა კრებას.

თჰუ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: ვ. საყვარელიძე
თჰუ აკადემიური საბჭოს მდივანი: კ. ყურაშვილი

5.02.2010